

## შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები

ჟიურის წევრები შეაფასებენ I ნაწილს (CSR-ის ზოგადი მიდგომა და სტრატეგია) და ასევე 4 თემატური ნაწილიდან კომპანიის მიერ შერჩეულ და წარმოდგენილ **ორ თემატურ სექციას**. (თუ კომპანია განაცხადში წარმოადგენს ინფორმაციას ორზე მეტ თემატურ ნაწილზე, შეფასების პროცესში ეს ჩაითვლება დამატებით უპირატესობად)

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
<b>I. CSR-ის ზოგადი მიდგომა და სტრატეგია - ჯამური ქულის მაქსიმუმ 10%</b>		
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი ერთიანი პოლიტიკა და მიდგომები	კომპანიის პასუხისმგებლობის ნათლად ჩამოყალიბებული ხედვა და რელევანტურად შერჩეული ფოკუს-სფეროები; სათანადო შიდა სტრუქტურა CSR-აქტივობების მართვისთვის და კომპანიის ეთიკური პრინციპების/ქცევის წესების განხორციელებისათვის; კომპანია აწარმოებს შიდა და გარე დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას.	0-10 ქულა
<b>II. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა - ჯამური ქულის მაქსიმუმ 45%</b>		
1. კომპანიის ზოგადი მიდგომა გარემოს დაცვის მიმართ	ზოგადი მიდგომა/პოლიტიკა გარემოსდაცვით სფეროში; პრიორიტეტული სფეროების მართებულად არჩევა; გარემოზე ზემოქმედების მართვა; კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან გარემოსდაცვით საკითხებზე.	0-15 ქულა
2. განხორციელება	ეფექტიანი ინიციატივების და აქტივობების განხორციელება; პრობლემების მართებულად გადაჭრა, ძალისხმევის თანმიმდევრულობა.	0-15 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	სახეზეა გაზომვადი შედეგები, პოზიტიური ზეგავლენა, შედეგების მდგრადობა.	0-15 ქულა
<b>III. პასუხისმგებლობა თანამშრომლების წინაშე - ჯამური ქულის მაქსიმუმ 45%</b>		
1. კომპანიის ზოგადი მიდგომა თანამშრომლებზე ზრუნვასთან დაკავშირებით	ზოგადი მიდგომა/პოლიტიკა თანამშრომლებთან მიმართებით; ფოკუს-სფეროების მართებულად არჩევა; საქმიანობათა ეფექტური მართვა; კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან.	0-15 ქულა
2. განხორციელება	ეფექტიანი ინიციატივების და აქტივობების განხორციელება; პრობლემების მართებულად გადაჭრა, ძალისხმევის თანამიმდევრულობა.	0-15 ქულა

3. შედეგები და ზეგავლენა	სახეზეა გაზომვადი შედეგები/გაუმჯობესება და გრძელვადიანი ზეგავლენა თანამშრომლების კეთილდღეობასა და კომპანიის საქმიანობაზე.	0-15 ქულა
<b>IV. პასუხისმგებლობა ბაზარზე – ჯამური ქულის მაქსიმუმ 45%</b>		
1. კომპანიის ზოგადი მიდგომა ბაზარზე სამართლიან და კეთილსინდისიერ საქმიანობასთან დაკავშირებით	ზოგადი მიდგომა/პოლიტიკა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოებასთან და სამართლიან საბაზრო საქმიანობასთან დაკავშირებით; ფოკუს-სფეროების მართებულად არჩევა; საქმიანობათა ეფექტური მართვა; კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან.	0-15 ქულა
2. განხორციელება	ეფექტიანი ინიციატივების და აქტივობების განხორციელება; კომპანია პასუხისმგებლობით ეპყრობა თავის მომხმარებლებს, მომწოდებლებს, სხვა პარტნიორებს და კონკურენტებს.	0-15 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	სახეზეა გაზომვადი შედეგები/გაუმჯობესება და მდგრადი პოზიტიური ზეგავლენა სამიზნე ჯგუფებსა და ბიზნესზე.	0-15 ქულა
<b>V. ადგილობრივი თემის მხარდაჭერა - ჯამური ქულის მაქსიმუმ 45%</b>		
1. კომპანიის ზოგადი მიდგომა ადგილობრივ თემებთან/საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართ	ზოგადი მიდგომა/პოლიტიკა ადგილობრივი თემების/საზოგადოების მხარდაჭერასთან დაკავშირებით; პრიორიტეტული სფეროები რეგულაციებისა და განსაზღვრული და პასუხისმგებლობის საზოგადოების საჭიროებებს; აქტივობების მართვა და მონიტორინგი; დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია.	0-15 ქულა
2. განხორციელება	პროექტები/ინიციატივები/აქტივობები არის ეფექტიანი, სისტემატური და თანმიმდევრული.	0-15 ქულა
3. შედეგები და ზეგავლენა	სახეზეა გაზომვადი და მდგრადი შედეგები/გაუმჯობესება და გრძელვადიანი დადებითი ზეგავლენა სამიზნე ჯგუფებზე.	0-15 ქულა

<b>ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები</b>			
<b>CSR-ის ზოგადი მიდგომა და სტრატეგია</b>			
<b>0-2 ქულა:</b>	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	<b>5-7 ქულა</b>	საკმაოდ კარგი
<b>3-4 ქულა:</b>	საშუალო	<b>8-10 ქულა</b>	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით
<b>თემატური სექციები</b>			
<b>0-3 ქულა:</b>	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	<b>8-11 ქულა</b>	საკმაოდ კარგი
<b>4-7 ქულა:</b>	საშუალო	<b>12-15 ქულა</b>	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით